ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 225
1877

ივერია

№ 225
1903

ოკდომბერი. 21, სამშაბათი 1903 წ.

ოკდომბერი 21, სამშაბათი 1903 წ.

ყოველ დღიური-საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

დღესასწაულებისა გამო, შემდეგი ნომერი „ივერიისა“ გამოვა პარასკევს, 24 ოკდომბერს.

პირველ ოკტომბრიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 3 მან. 50 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კაპ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

როინაშვილისეული ფოტოგრაფია.

ამ წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“

ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი,

იჯარით აქვიდე

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი, მიეცემა მ უ ქ თ ა დ** აკვარელით (ფერადებით) **საუცხოოდ დახატული.**

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასაყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, სანახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეებს ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის ძე მომცელიძე.**

„ც ო დ ნ ა“

ახლად დაარსებული ქართული წიგნის მაღაზია

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

იყიდება. ყველა ქართული წიგნები და ქართულ-რუსული სახელმძღვანელონი სახმარებელნი სამრევლო და სამინისტრო სკოლებში. აგრეთვე მაღაზია ჰყიდის და ყიდულობს ძველს და ნახმარს წიგნებს დაკლებულ ფასად.

საგანი „ცოდნის“ მაღაზიისა—გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასათვის ხელ-მისაწდომ გამოცემათა.

მსურველთ წიგნები ეგზავნება ქალაქ-გარედაც **ფას-დადებით.**

დაუყოვნებლივ ვასრულებთ ყოველ გვარ შეკვეთას, როგორც ქალაქის აგრეთვე პროვინციის მცხოვრებლებისას.

იქვე მიიღება **ხელის მოწერა ყოველ ქართულ ჟურნალ-გაზეთებზე.**

ადრესი: Тифлисъ, Книжный магазинъ „ЦОДНА“.

წიგნის მაღაზიის პატრონი და მმართველი სოსიკო მერკვილაძე.

წარმოდგენა № 10. ტელეფონი № 617

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 23 ოკდომბერს 1903 წ.,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილ იქნება

I

ჭირვეული ცოლის მორჯულება

კომედია 5 მოქ. შექსპირისა, თარგ. კ. მესხის მიერ.

II

ცელქები

ხუმ.-ვოდ. 1 მოქ., ე. ჭიჭინაძისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. დავითაშვილი, ა. კარგარეთელი, ნ. ციციანი, მ. მდივანი, ელ. ჩერქეზიშვილისა, ნ. ჯავახიშვილი.

ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, დ. ბაქრაძე, გ. გედევანოვი, ვ. გამრეკელიძე, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, კ. მესხი, დ. მირიანაშვილი, გ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **აბაკი.**

ტფილისის სახაზინო თეატრი

რუსული ოპერა

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

სამშაბათს, 21 ოკდომბერს 1903 **წ.,** წარმოდგენის წინად ყველა არტისტები და შეერთებული დასი, მისი უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერის მონაწილეობით, შეასრულებს სახალხო ჰიმნს «ღმერთო, ფარვიდე მეფესა».

წარმოდგენილი იქნება

ქიზნ ზა ცარია

ოპერა 4 მოქ. ეპილოგით, მუსიკა გლინკასი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ბი: ალმაევა, კალინინა; ბ-ნნი: დარსკი, კლიუზნერი, სიბგურსკი, გავრილოვი.

კაპელმეისტერი ი. ა. პოზენი

უფროსი რეჟისორი ნ. ი. ბოგოლიუბოვი.

საწყისი საღამოს 8 საათზე.

ანონსი. ოთხშაბათს, 22 ოკდომბერს, წარმოადგენენ მისი უდიდებულესობის სოლისტის ფიგნერის მონაწილეობით „პიკოვაია დამას“, ოპერა 3 მოქ. და 7 სურათად, მუსიკა ჩაიკოვსკისა.

მზადდება წარმოსადგენად ხუთშაბათს, 23 ოკდომბერს, „სევილიელი დალაქი», ოპერა 3 მოქ., მუსიკა როსინისა, და ბალეტი «ქორწილი თინცოვში».

ავლაბრის ახალი თეატრი. № 7.

სამშაბათს, 21 ოკდომბერს 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

ზაზუმა

კომედია 4 მო ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას ღებულობენ: ქ-ნნი: ნ. გა. მერელიძისა, ნ. დათაშვილი, ნ. ციციანი, ელ. ჩერქეზიშვილისა, ნ. ჯავახიშვილი.

ბ-ნნი: დ. აწყურელი, გ. გედევანოვი, ვ. გამრეკელიძე, დ. მირიანაშვილი და საფაროვი.

ადგილებისფასსა დაკლებულია

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

რეჟისორი აწყურელი.

ს ი ა

„ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებ“ წევრთა, რომელთაც გადაიხადეს საწევრო ფული

№№	სახელი და გვარი.	მ.	კ.
337	ელენე ბ. ხელთუფლიშვილი	6	—
338	ნინო. ხელთუფლიშვილი	6	—
339	დავით ბ. ხელთუფლიშვილი	6	—
340	ივლიანე ეს. ანჯაფარიძე	12	—
341	ლევან პ. გოგიჩაიშვილი	6	—
342	ზაქარია ქ. გოგიჩაიშვილი	6	—
343	ნიკოლოზ გ. ჭიჭინაძე	6	—
344	ივანე ის. პურადიშვილი	6	—
345	სამსონ ნ. დათეშიძე	6	—
346	მიხეილ ომ. ჩანჩალაძე	6	—
347	მღ. ალექსი გიორგაძე	6	—
348	ალექსანდრე ს. საყვარელიძე	6	—
349	გიგოლ სახ. ბარათაშვილი	6	—
350	ვლადიმერ ზ. ჩაჩიბაია	6	—
351	ინე პ. ჯაიანი	6	—
352	ონ თ. ბაქრაძე	6	—
353	ანე გომართელი	6	—
354	რლამპი პ. ღლონტი	12	—
355	რიგოლ იეს. კემულარია	6	—
356	იკოლოზ იაკ. ნიკოლაძე	6	—
		132	—
	სულ წლის განმავლობაში	2618	35

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

ღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირადღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათმდე ქალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ვ. ა. თარხანოვი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

ლ. ვ. ბარტოლდი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ვ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ვ. ა. თარხანოვი. $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. $8^1/_2$—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

(წლ.)

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჯიჯინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე

ლ. ი. კამოევი. საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილებისა 10—11 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი. შაკ. და შინაგ. 10—11 ს.

ლ. მ. მონინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

გრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ. ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

ტფილისი

⁂ დღეს, 21 ოკდომბერს, ხელმწიფე იმპერატორის ნიკოლოოზ ალექსანდრეს ძის სამეფო ტახტზედ ასვლის დღესასწაულია. სიონის ტაძარში ყოვლადსამღვდელო ბენიამენი, ეპისკოპოსი გორისა, წირვის შემდეგ, სამადლობელ პარაკლისს გადაიხდის, რომელზედაც გენერლობა და ყველა დაწესებულებათა უფროსი მოხელენი დაესწრებიან.

⁂ გუშინ, 20 ოკდომბერს, ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე III გარდაცვალების დღეს, სიონის ტაძარში, ყოვლად-სამღვდელო ბენიამენმა, წირვის შემდეგ პანაშვიდი გადიხადა, რომელსაც დაესწრნენ მთავარმართებლის თანაშემწე გენერალი ა. ა. ფრეზე, გენერლობა, უფროსი მოხელენი სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებათა და მრავალი მლოცველი.

⁂ მისმა უმაღლესობამ პრინცმა ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგელმა, რომელიც კავკასიის მთავარმართებლის თ-დ გ. ს. გოლიცინის სანახავად ჩამობრძანდა ტფილისს 17 ოკდომბერს. მეორე დღეს დაათვალიერა ის ადგილი, სადაც მთავარმართებელი დასჭრეს, ბოტანიკური ბაღი მოიარა, სიონის ტაძარში ილოცა და იმავე დღეს რკინის გზის მატარებლით ისევ გაგრას წაბრძანდა.

⁂ კავკასიის მთავარ-მართებელს თ-დ გ. ს. გოლიცინს თანაგრძნობის დეპეშები მოუვიდა მის იმპერატორებითის უდიდებულესობის იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულისა, მათ იმპერატორებით უმაღლესობათა დიდის მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძისა და დიდის მთავრინის ელისაბედ მავრიკის ასულისა, მათ უმაღლესობის პრინც ალექსანდრე პეტრეს ძის და პრინცესა ევგენია მაქსიმილიანის ასულის ოლდენბურგელებისა და ბავარიის პრინცის გიორგისაგან.

მრავალი დეპეშები მოსდის წარჩინებულ კაცებისა რუსეთსა და საზღვარ-გარეთიდგან. როგორც „კავკაზი“ იუწყება, დეპეშების რიცხვი სამასს აღემატა.

⁂ მის ბრწყინვალების, თ-დ გ. ს. გოლიცინის ავადმყოფობის ბიულეტენი 18 ოკდომბერს, საღამოს 8 საათზე: ჭრილობა თავსა და სახეზე ურჩება. ტემპერატურა დილით $37,_1$, საღამოთი 38. მაჯა 76. საერთო მდგომარეობა კარგია. 19 ოკდომბერს, საღამოს 8 საათზე: განსაკუთრებული ცვლილება არ ეტყობა კიდევ ამცივნებს. ტემპერატურა დილით $37,_3$, საღამოთი $38,_3$. მაჯა 76.

ემიმები: მალინინი, ჩუდნოვსკი, რუდენკო, გადომსკი.

⁂ კვირას, 19 ოკდომბერს, ტფილისის რომის-კათოლიკეთა ღვთის მშობლის მიძინების ეკკლესიაში, რომელიც იმყოფება კათოლიკების ქუჩაზედ, იმავ ეკკლესიის წინამძღვარმა პატრმა პავლე კალაიჯიშვილმა, სადღესასწაულო წირვის შემდეგ, გარდაიხადა სიმადლობელი პარაკლისი მის ბრწყინვალების მთავარ-მართებლის თ-დ გ. ს. გოლიცინის განსაცდელისაგან მშვიდობიანად გადარჩენისა გამო. წირვასა და პარაკლისს აუარებელი ხალხი დაესწრო.

⁂ გუშინ-წინ, 19 ოკდომბერს, ქვაშვეთის წმ გიორგის ეკკლესიაში, ამ ეკკლესიის წინამძღვარმა დეკანოზმა ესტატე ელიაშვილმა წირვაზედ მოიხსენია ახლად გარდაცვალებული ქართველი მწერალი დიმიტრი ნადირაძე (მაჩხანელი) და წირვის შემდეგ პანაშვიდი გადაიხადა განსვენებულის მოსახსენებლად. წირვასა და პანაშვიდს დაესწრნენ „ივერიის“ რედაქტორი, კრებული რედაქციისა, თანამშრომელნი, ქართულ ჟურნალ-გაზეთების რედაქციების წარმომადგენელნი, ქართველი ინტელიგენცია და მრავალი ხალხი.

⁂ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშალს თ-დ დ. ზ. მელიქიშვილს მოუწვევია ტფილისს მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლნი, რომელთაც უნდა მოელაპარაკოს თავად-აზნაურთა საქმეების გამო.

⁂ ბაქოს ქალაქის მოურავი ბ-ნი ნოვიკოვი ამ ჟამად ტფილისშია და შუამდგომლობს საბჭოს სახელით კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე, რომ ბაქოში მეორე ვაჟთა გიმნაზია დააარსონ.

⁂ გაზეთ „კავკაზ“-ის რედაქტორად ყოფილი კ. ნ. ბეგიჩევი, როგორც ამ გაზეთს დეპეშით ატყობინებენ, კავკაში 19 ოკდომბერს გადაცვლილა, ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ.

⁂ ტფილისის გუბერნატორი პოლკოვნიკი სვეჩინი გზავნის ექიმს მაჭავარიანს კახეთსა და ბორჩალოს მაზრაში, სადაც სასოფლო სამკურნალოები უნდა დაათვალიეროს მათ გასაუმჯობესებელ გარემოებათა გამოსარკვევად.

⁂ ლონდონში ეხლახან სასიკვდილოდ დაუჭრიათ სომეხი სეგიუნიანი, რომელიც თავმჯდომარეა სამშობლოდგან გადახვეწილ სომეხთა მზრუნველ-დამხმარებელ საზოგადოებისა. მიზეზი ბოროტმოქმედებისა ჯერ გამორკვეული არ არის.

⁂ 16 ოკდომბერს წაუკითხავს საჯაროდ ლექცია პეტერბურგში ჩვენს თანამემამულეს, აკადემიკოსს თ. ივანე რამაზის ძეს თარხნიშვილს ამ საგანზედ: ცხოვრება კერძო კაცისა და საზოგადოებისა. რა არის სიცოცხლე? აზრი ანიმის-

ტებისა და მატერიალისტებისა. კანონები ბიოლოგიური, ფიზიკა-ქიმიური და სხ.

სათეატრო შენიშვნები

VI

ორგინალურ ისტორიულ პიესების წარმოდგენა ჩვენს სცენაზე თითქმის რომ მოუხერხებელია სიღარიბის გამო. ერთი საუკუნე მეორეს აღარა ჰგავს. სხვა-და-სხვა საუკუნეს ელ-ფერიც სხვა-და-სხვა აძევს, როგორც შინაარსით, ისე გარეგნობითაც; სცენა ვალდებულია, რომ სხვა-და-სხვა ისტორიულ ეპოქის გათვალისწინების დროს სინამდვილეს არ უმტყუნოს. და ჩვენ კი ვერ ვახერხებთ, რომ დავანახვოთ მაყურებლებს დიდებულ დროების პალატები, ციხე-გალავნები, დარბაზები დარბაისლებით და მათი საჭურველ-სამკაულები, მართალია, ესენი ყველა, როგორც სათეატრო მაჩვენებელი, უნდა იყვნენ სათვალთმაქცო და არა ნამდვილი, მაგრამ ჩვენ ამისი შეძლებაც არა გვაქვს და კარიკატურული წარმოდგენა ხომ ცილის წამება იქნება ჩვენი ძველი დიდებისა, ჩვენივე გულსატკენად, სწორეთ ამის ბრალია და სხვისი არაფრის, რომ ჩვენ ზოგიერთ ისტორიულ პიესებს ჯერ კიდევ ვერ შემოუდგამთ ფეხი სცენაზე. გვეტყვიან: ეს ხომ მარტო ქართულ სცენას არა სჭირს, მაგრამ ხარჯს სხვაგან არ ერიდებიან და შესაფერად უწყობენ ხელს ისტორიულ პიესებსაო? მართალია, მაგრამ იქ სხვა საზოგადოებაა, და ჩვენში კი სულ სხვა: უცხოეთში ერთს პიესას რომ დადგმენ, მთელი სეზონის განმავლობაში სულ ყოველდამ იმასვე ადგენენ და ის, რაც დახარჯულა იმ პიესის დადგმაზე, საოცარის მოგებით უბრუნდება თეატრს.

ჩვენში-კი რა ღირსებისაც უნდა იყოს პიესა, ერთხელ თუ დაიდგა, მეორეთ აღარავინ წავა სანახავად. „მინახავსო,—ამბობს— და მეორეს თხოულობს. ეს ახირებულება მით უფრო საკვირველია, რომ მხოლოდ ქართული სცენის შესახებ არიან ჩვენში ამ აზრის, თორემ ცირკში და გლდანელი ჭიდაობაზე, სადაც ახალი არა არის-რა, სუყოველთვის დადიან. ცხადია, რომ ქართული ახალი პიესა ხარჯს თავის დღეში ვერ ანაზღაურებს და ყოველ პიესის დადგმის დროს ახალ-ახალ ხარჯსა და ზარალს როგორ აიტანს ჩვენი სცენა? ესეც რომ არ იყოს, სხვა ქვეყნების არტისტები ერთ პიესას რომ მოამზადებენ ათისა და ასის რეპეტიციით, მერე დიდხანს შესვენებულნი არიან. ჩვენმა არტისტებმა-კი, დროს უქონლობისა გამო, თითქმის ურეპეტიციოთ უნდა აცხონ სულ ახალ-ახალი პიესები, და სად არის სამართალი?

აი, სწორეთ ამისი ბრალია, რომ ჩვენი ისტორიული ორიგინალური პიესები მაგალითად: „ჯავახიანი“, „მარიამ დედოფალი“, „რუსთველი“, „დავით აღმაშენებელი“, «მედია» და სხვანი მივიწყებულნი არიან. ახლა ვნახოთ თანამედროვე ჩვენის ცხოვრებიდან აღებული პიესები! ამათაც ვერ მოიკიდეს ფეხი სცენაზე. რიცხვი მათი ასზე მეტია. იმათგან ერთი მეოთხედი მაინც, თუ არ მეტი, გამოსაცდელია ჩვენი სცენისათვის, მაგრამ ზოგი მათგანი სულ არ გვითამაშნია და ზოგიც ერთხელ რომ დადგმულა, მერე აღარ განმეორებულა.

ცხოვრებიდან აღებული თანამედროვე პიესებში, რა თქმა უნდა, ნაცნობ პირებს დაინახავს მკითხველი თუ მაყურებელი, და ავტორის უნებურად ოვისი მიმხვედურობა ნაცნობებზე გადააქვს და ვიწრო პირადობასა ჰხედავს, რაიცა ბევრს უსიამოვნობას იწვევს. ამგვარი ბედი ეწვია პიესებს: „ძველსა და ახალს შუა“, „მომაკვდავ სურათებს“, „კუდურ-ხანუმს“, „ახალ გმირსა“ და სხვათა. ამ ჭირს გარდა არის ერთი კიდევ სხვა მიზეზიც, მიზეზი ეტნოგრაფიული, ამერი და იმერი, როგორც ბუნებით, ისე მოქმედებითაც, სულ სხვა-და-სხვაა... მართალია, ორთავეს ქვაკუთხედად და საფუძვლად ნამდვილი ქართველობა უძევს, მაგრამ კონგლომერატი (ზედ-ნაყარი) კი სულ სხვა-და-სხვა; რაც-კი ამ ორ ტყუპის—ცალ მოძმეებს, ამერ-იმერელს შესისხლხორცებია. იმერეთს ბიზანტიის გავლენა ატყვია და ამერს, ანუ ქართლ-კახეთსა, სპარსეთისა მართალია, შინაარსი ორივეს სულიერის მოძრაობისა ერთი და იგივეა, მაგრამ გარეგანი გამოსახვა-კი სხვა-და-სხვანაირია და იმიტომაც ერთმანეთი ეუცხოვებათ ხოლმე. იმერეთის ცხოვრების სარკეში ჩახედვა არ ეხერხებათ ამერლებს, რადგანაც სპარსეთში გაჭედილის სათვალეების მოშორება ეძნელებათ. და მითი აიხსნება ის, რომ ზოგიერთი პიესები, იმერულ კალაპოტში ჩასმული, აქაურებისათვის გაუგებარია; მაგალითად, კომედია „ხაფანგი“ და სხვანი.

ამას დავუმატოთ ახლა ჩვენი არტისტების დანაშაულობაც და მაშინ ადვილი მისახვედრია, რომ წმინდა ქართული რეპერტუარი განსაცდელშია, უჭირს სცენაზე ფეხის მოკიდება და ჩიქორთულად, დამორჩილ ძაღლივით ყვლერჭოთ უცხო ენიდან გადმოთრეულ პიესები წინ ეღობებიან ნამდვილ ქართულ სცენას. თუ რაში არიან და როგორ დამნაშავე არტისტები, ამას შემდეგ ვიტყვით.

აკაკი.

ჩვენებური ამბები

ს. კახი (ზაქათალის ოლქი). ამ დღეებში აქ თავი ჩამოიღრჩო ერთმა მოხუცმა კაცმა, ალექსანდრე (ქორ-ყასიმა ნურავიშვილმა. თავის დროზედ ეს ალექსანდრე კარგ ოჯახიშვილად ითვლებოდა, გამრჯელისა და გამჭრიახის კაცის სახელი ჰქონდა, მაგრამ, საუბედუროდ, ბოლო ხანებში სულით ავადმყოფის ნიშნები დაეტყო. თუმცა ეს ნიშნები ყველასთვის თვალსაჩინო, ცხადი იყო, მაგრამ არც ისეთი საშიშარი ხასიათი ჰქონდა, რომ პატრონებს ან საზოგადოებას ამ ავადმყოფის საავადმყოფოში გაგზავნა ეფიქრათ. ეს მისი თავისუფლად ყოფნა იმ დრომდე გაგრძელდა, ვიდრე ალექსანდრემ ერთს დღეს ცულით კინაღამ არ მოჰკლა თავისი უდანაშაულო ცოლი.

სასამართლოს დადგენილებით, სულით ავადმყოფად ცნობილი ალექსანდრე მოათავსეს ტფილისის მიხეილის საავადმყოფოსთან არსებულს სულით ავადმყოფთა განყოფილებაში, სადაც მან დაჰყო რამდენიმე წელიწადი. ამ რამდენისამე თვის წინად-კი ნება მიიღო მოსულიყო თავისს სამშობლო სოფელს კახში. მოსვლის პირველ ხანებში ძლიერ გახარებული იყო ალექსანდრე, თუმცა დასუსტებულიც ძლიერ იყო. „მე მოხარული ვარო,—მითხრა ალექსანდრემ პირველს შეხვედრაზედ,—რომ საგიჟეთს მოვშორდიო. ღმერთმა ყველა ქრისტიანი დაიფაროს იმ ჯოჯოხეთისაგან; იქსრულს ჭკვაზედ მყოფი კაციც-კი გაგიჟდებაო. ბედნიერი ვარ, რომ შეძლება მომეცა ჩემი უკანასკნელნი დღენი სამშობლო ცის ქვეშ გავატარო და მამაპაპათა სასაფლაოზედ დავიმარხოვო“.

მაგრამ ეს ბედნიერი და სასიხარულო დღეები დიდს ხანს არ გაუგრძელდა საწყალს... დაბრუნების შემდეგ მისი ნაცნობები და საზოგადოდ მთელი ხალხი კვლავინდებურად აღარ უყურებდნენ, ნაცნობები აღარ დაიარებოდნენ მასთან და ყველანი ერიდებოდნენ, როგორც კაცის მკვლელს... ამ გარემოებამ ძლიერ ცუდად იმოქმედა: ალექსანდრე ჩაფიქრიანდა, დადარდიანდა... შინაურებიც თვალსწუნებითა და შიშით უცქეროდნენ და ამან ხომ სულ უნუგეშო მდგომარეობაში ჩააგდო ეს საცოდავი, აჩრდილად ქცეული მოხუცი. ყველა ამეების ატანა ვეღარ შესძლო სულიერად და ხორციელად დაძაბუნებულმა არსებამ და თავის ტანჯულ სიცოცხლის მოსასპობად განიზრახა თავის ჩამოღრჩობა... 13-ს ამ თვეს ალექსანდრე ნახეს თოკზედ ჩამოკიდებული თავისსავე სახლის დერეფანში. უბედურს თოკი კოჭზედ ჩამოება, თვითონ ნავის პირზედ ასულიყო, მოება ყელზედ თოკი, შემდეგ ნავის პირიდგან გადამხტარიყო და დაჰკიდებოდა თოკზედ. როცა მახლობელთ ეს უბედურება გაიგეს, გვამი უკვე გაცივებული იყო. საცოდავს სურათს წარმოადგენდა თოკზედ ჩამოკიდებული მოხუცი, რომლის ფეხის თითებიც მიწას სწვდებოდა. იქვე იყო ჩამოკიდებული მისი პალტო და მიყუდებული მისი კომბალი, ეს მუდმივი, მაგრამ უტყვი, ამხანაგი ამ ტანჯულის ადამიანისა.

მეთვალყურე.

ქუთაისი. ორი-სამის წლის წინად ქალაქის გამგეობამ მიიღო მთავრობისაგან ათთიაქის დაარსების ნებართვა. რა თქმა უნდა, რომ ყველასათვის სასიამოვნოდ დარჩა ამ ნებართვის მიღება და იმედს არა ჰკარგავდნენ, რომ ქალაქის კასსას ყოველ წლიურად შეეძინებოდა ოთხი-ხუთი ათასი მანათი წმინდა მოგება, რომელიც მოხმარდებოდა ქალაქის მდგომარეობის გაუმჯობესებას. როგორც ყოველთვის, იმედი აქაც გაცრუვდა. ჩვეულებისამებრ საჩივრები გაიმართა, ქალაქს უფლება არ აქვს ქალაქის შუაგულ ადგილას ათთიაქის გამართვისაო, ვინაიდან ორი ათთიაქი უკვე არსებობსო. თუმცა საფუძველი ძლიერ სუსტი იყო, მაგრამ მაინც, სხვა-და-სხვა მიზეზების გამო, ქალაქს არ მისცეს უფლება ათთიაქის დაარსებისა სასურველ ადგილას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ქალაქის საბჭომ მიანდო ქალაქის გამგეობას ათთიაქის გამართვა სადაც უფრო მოხერხებული იქნებოდა. დიდი დავიდარაბის შემდეგ, ქალაქმა მიიღო ნება ათთიაქის დაარსებისა ივანოვის ქუჩაზედ. ათთიაქი მოაწყო ქალაქმა მშვენივრად, ზედამხედველი და მოხელენიც კარგები იშოვა, მაგრამ მუშაობა და შემოსავალი მაინც ცოტა იყო, რადგანაც ადგილი მოუხერხებელი აღმოჩნდა.

ქალაქის გამგეობამ შემდეგშიაც არ დააკლო ზრუნვა, რომ ათთიაქი გადმოეტანა უფრო კარგს ადგილას და იშუამდგომლა გუბერნატორთან, რომელმაც ნება დართო ათთიაქის ქალაქის შუაგულ გადმოტანისა, მაგრამ საჩივრები საჩქაროდ გაიგზავნა სენატში და საქმე ისევ შეფერხდა. როგორც იყო, საქმე სენატშიაც ქალაქის სასარგებლოდ გადაწყდა და ქალაქს ნება მიეცა, ათთიაქი იქონიოს ქალაქის მამულში, საკათედრო ტაძრის სიახლოვეს, ტფილისის ქუჩაზედ.

მკითხველი იფიქრებს, რომ ქალაქი მაშინვე გადმოიტანდა ათთიაქს დანიშნულ ადგილას და შემოსავალი მოემატებოდაო. დიაღ, ასედაც უნდა ყოფილიყო, მაგრამ ის შენობა არ გამოდგა ქალაქის ათთიაქისათვის. შენობა იყო აშენებული დუქნებად და ათთიაქს ხომ სულ სხვა შენობა სჭირდებოდა. ბევრის თათბირის შემდეგ გადასწყდა, რომ ქალაქს დუქნები გადაეკეთებია ათთიაქის მოსაწყობად.

მოგეხსენებათ კანცელარიის საქმის წარმოება საზოგადოდ: ეს მოხსენებაო, ეს გეგმაო, ეს პროექტიო, მათი განხილვა და სხვა-და-სხვა. ამ დავიდარაბაში გავიდა ერთი წელიწადი თითქმის და ათთიაქი ისევ ძველ ადგილას იმყოფება, შემოსავალი ისევ მცირეა და ძლივს ჰფარავს ხარჯსა, თუმცა ,ამბობენ, რომ წელს შემოსავლიდან წმინდა მოგებაც დარჩებაო. ღმერთმა ჰქნას, რომ ბევრიც დარჩენოდეთ,—ჩვენს ქალაქს არ აწყენს...

ამ წლის დამდეგს ქალაქის გამგეობა შეუდგა საბჭოს გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას შესახებ ათთიაქის სადგომისა. გამგეობამ შეუკვეთა სახლის გეგმა ინჟინერ ფონ-შულცს, რადგანაც ქალაქის ხუროთ-მოძღვარს, როგორც ამბობენ, არ ეცალა ავადმყოფობის შემდეგ ბევრის საქმეების გამო. ბ-ნმა ფონ-შულცმა (ხმოსანია) იკისრა გეგმის შედგენა, კიდევაც შეადგინა და გასამრჯელოც მიიღო. ოციოდე თუმანი დიდი ფული არ არის, მაგრამ ქალაქის ღარიბ კასსისათვის ბევრია მაშინ, როდესაც ჰყავს საკუთარი ხუროთ-მოძღვარი, რომლის წმინდა მოვალეობაა ამგვარ მუშაობის შესრულება.

ამას თავი დავანებოთ, რაც მოხდა—მოხდა. ამ ზაფხულზედ შენობა გაიცა იჯარით. იჯარადარი შეუდგა საქმეს გულმხურვალედ და ორის თვის განმავლობაში ქალაქის დუქნებს დაადგა მეორე სართული, რომელიც სასიამოვნოდ რჩება გამვლელ-გამომვლელს, თუმცა ჯერ გათავებულიც არ არის. იჯარადარიც დაიმედებული იყო—ამ წლის დამდეგისათვის შენობა იმდენად იქნებოდა მზად, რომ ათთიაქი გადმოვიდოდა ახალ ბინაზედ, მაგრამ იღბალი რომ არ ექმნება ადამიანს, ან ქალაქს, რას იზამს კაცი? აქაც ახალი მიზეზი გამოჩნდა. ბ-ნმა ფონ-შულცმა ქალაქის გამგეობას წარუდგინა ქაღალდი, ვითომც შენობა არ კეთდება ისე, როგორც ჩემ მიერ შედგარი გეგმაა, და თუ არ გადაკეთდა შენობის შუბლი (ფასადი), გთხოვთ მე ნუღარ ჩამთვლით გეგმის შემდგენელადაო. გამგეობამ კომისია მოიწვია, სხდომა დაინიშნა რამდენჯერმე, ადგილობრივ შენობა გაათვალიერეს და აღმოჩნდა, რომ ცოტაოდენი შეცდომა მოსვლია იჯარადარს, რომლის გასწორებაც დაევალა კიდეც. შეიძლება იჯარადარი დამნაშავე არის, რომ გეგმას არ დაუკვირდა კარგად და ინჟინერ ფონ-შულცის ნახატებით ვერ გაიგო როგორც რიგი იყო, მაგრამ სად იყო ქალაქის გამგეობის ზედამხედველობა, სად იყო კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს ყურის გდება, სად იყო თვითონ ბ-ნი ფონ-შულცი, როგორც ხმოსანი და კომისიის წევრი, სად იყო ბ-ნი ქალაქის ხუროთ-მოძღვარი? ქალაქის შენობა შენდება და ნუ თუ ქალაქის ხუროთ-მოძღვარმა დღეში ერთჯერ თუ არა, კვირაში ერთჯერ მაინც არ უნდა დახედოს, როგორ აშენებს იჯარადარი შენობას? ნუ თუ ქალაქის გამგეობაში იმდენი საქმეებია, რომ მოცლა აღარა აქვს არაფის? შეიძლება მკითხველმა მიპასუხოს,—სანამდისინ იჯარადარისაგან შენობას არ ჩაიბარებს ქალაქი, მანამდე ყოველთვის უფლება აქვს დაანგრევინოს და ახალი ააშენებინოსო. შეიძლება ეს უფლება კიდევაც ჰქონდეს, მაგრამ ამ უფლებით განა ქალაქმა უნდა ისარგებლოს? ან როდის ყოფილა რომ ესარგებლნია. ყურის გდება საჭირო არის თავისს დროზედ, სანამდე აშენდება, თორემ მერე გადაკეთება ძლიერ ძნელი საქმეა და არა მგონია, რომ აღმოჩნდეს იმისთანა ხმოსანი, რომელმაც სთქვას, იჯარადარის ბრალია და უნდა დაისაჯოს იმით, რომ აშენებული დაანგრიოს და ხელ-ახლად ააშენოსო.

ასე თუ ისე, ამ საგანს ბოლო მოეღებოდა და შენობა დამთავრდებოდა, სანამ ზამთარი მოვიდოდა, მაგრამ ამას კიდევ სხვა მიზეზი დაერთო: ვინაიდან იჯარადარმა გეგმა კარგად ვერ გაიგოო, ბ-ნმა ფონ-შულცმა აღუთქვა ქალაქის გამგეობას შაბლონების გაკეთება, ესე იგი კარდონის ქაღალდზე უნდა დაეხატა შუბლის ჩუქურთმის სურათები იმ ზომისა, რა ზომისაც უნდა გაეკეთებინათ გათლილ ქვაზედ. წინადადება ჩინებული იყო და ბ-ნ ფონ-შულცს მადლობა შესწირეს ამისთანა შრომისათვის. მაგრამ აქაც იმედი გაცრუებული დარჩა. თითქმის ათი დღეა მას შემდეგ და შაბლონები-კი არსადა სჩანს. დღეს-ხვალ, დილას-სადამოს და დრო-კი მიდის. ყოველდღე ბ-ნ ფონ-შულცთან ხან ქალაქის ხუროთ-მოძღვარი დაბრძანდება, ხან ქალაქის იასაულები შაბლონების მისაღებად, მაგრამ სულ ტყუილად. ათიოდე დღეა იჯარადარს მუშები გაჩერებული ჰყავს და ამისთანა მშვენიერი ამინდით ვერ სარგებლობს, რომ შენობა დაამთავროს და გადახუროს თუ ბ-ნ ფონ-შულცს არა სცალია რა დანიშნული იქნება, რომ ბ-ნმა ქალაქის ხუროთ-მოძღვარმა შეადგინოს თავის გემოზედ შენობის ჩუქურთმა და შაბლონები გააკეთოს? დარწმუნებული ვარ, რომ ეს მისთვის ადვილი საქმეა, მაგრამ ადვილად არ უნდა აწყენინოს ბ-ნ ფონ-შულცს.

ფელეტონი

ვეფხის-ტყაოსნის

რეცენზიის გამო.

ჩვენის რედაქტორობით გამოცემულს „ვეფხის-ტყაოსნის“ წინასიტყვაობაში ჩვენ ვწერთ: „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ გამგეობამ გადასწყვიტა გამოეცა „ვეფხის-ტყაოსანი“ სახალხოდ გასავრცელებლად. მისი რედაქტორობა და ლექსიკონის შედგენა მომანდო მე, ხოლო დედნად, საიდგანაც უნდა გადაბეჭდილიყო, გამგეობამ დანიშნა ქართველიშვილის გამოცემა. ჩვენც შევუდექით ამ მინდობილობის შესრულებას და ვფიქრობდით უცვლელად გადაგვებეჭდა ქართველიშვილის გამოცემა, მაგრამ კორექტურის კითხვის დროს ვეღარ მოვითმინეთ და ზოგიერთი ადგილები, რომელნიც ქართველიშვილის გამოცემის რედაქტორისაგან ვერ იყვნენ სისწორით წაკითხულნი, შევასწორეთ და ეს შესწორება მოვიხსენიეთ ყოველს შემთხვევაში ცალკე შენიშვნებში“.

ვისაც ქართული ესმის, ამ ჩვენს სიტყვებს, უეჭველია, ისე გაიგებს, რომ „ვეფხის ტყაოსნის“ ახალის გამოცემის ტექსტი იგივეა, რაც ქართველიშვილის გამოცემისა, მხოლოდ იმ ცვლილებით, რომ ალაგ-ალაგ სიტყვები ისე არ არის წაკითხული, როგორც წაუკითხია უკანასკნელის გამოცემის რედაქტორს. მაშასადამე ახალს გამოცემაში ტაეპთა რიცხვი უნდა არც მეტი არც ნაკლები იყვეს იმაზე, რაც ქართველიშვილის გამოცემაშია.

ახლა ვთხოვ მკითხველს, ყური დაუგდოს, რას ბრძანებს „ვეფხის-ტყაოსნის“ ახალის გამოცემის რეცენზენტი ბ-ნი შიო დავითიშვილი (იხ. „ივერია“ № 220 ფელეტონი): „ჩვენ გაგვაოცა, რომ ახალ გამოცემაში 1576 ტაეპია. ეს არ ეთანხმება არც დ. ჩუბინაშვილისა და არც გ. ქართველიშვილის *) გამოცემას. მართალია, დ. კარიჭაშვილი წუნსა სდებს რუსთაველის წინასიტყვაობასა და უკანასკნელ 5 ტაეპს, მაგრამ ერთიც და მეორეც თავის ადგილს არის დაბეჭდილი. მაშ რაშია განსხვავება? დ. კარიჭაშვილი თავის წინასიტყვაობაში და შენიშვნებში არას გვეუბნება ამის გამო. ავათვალ-ჩავათვალიერეთ ახალი გამოცემა და ერთს ადგილს შევნიშნეთ, რომ ტაეპი აკლია. ეს არის უკანასკნელი ტაეპი ავთანდილის ლოცვისა, ტარიელს რომ გაეყარა და მულღაზანზარს მიდიოდა: „მოვიდიან შესამკობლად ქვეყნის ყოვლნი სულიერნი“ და სხ. მართალია, ბ-ნ ალ. ს—შვილის მიერ ეს ტაეპი ყალბად არის ცნობილი, მაგრამ ის ხომ არავის ავალებს, რაც მე დავიწუნე, ეხლავე უნდა განდევნოთო. ჩვენ დარწმუნებული ვართ, თვით ბ.ნ ს—შვილს რომ გამოეცა „ვეფხის-ტყაოსანი“, გაბედულად ვერ შეახებდა ხელს ყალბად მიჩნეულ ტაეპებს, ვიდრე სხვებიც არ გაარჩევდენ და არ დაამოწმებდნენ, რომ მისი აზრი ჭეშმარიტია. წინანდელ გამომცემლებსა და ძველ მწერლობის მოყვარულთ ეს ტაეპი ყალბად არ სჩვენებიათ. მაგ., პლატონ იოსელიანი რუსულადაც-კი სთარგმნის ამ ტაეპს და განმარტავს, რომელი ხალხნი არიან დასახელებულნი. ბ-ნ კარიჭაშვილს კი აუღია კალამი და ამ ტაეპზე ჯვარი დაუსვამს“.

ზევით მოყვანილს ამონაწერში ჩვენ ვამბობთ, რომ ახალის გამოცემის და ქართველიშვილის გამოცემის ტექსტი ერთი და იგივეა. შიო დავითიშვილი-კი აცხადებს, ვითომ ახალის გამოცემის ტაეპთა რიცხვი არ ეთანხმებოდეს გიორგი ქართველიშვილის გამოცემისას. ეს მართალი არ არის. ერთშიაც და მეორეშიაც სწორედ 1576 ტაეპია, არც მეტი და არც ნაკლები. თუ ესე არ არის, აბა გვიბრძანოს შიო დავითიშვილმა, მაშ რამდენია. მკითხველი გაჰკვირდება და იტყვის შიო დავითიშვილი ასე საჯაროდ, გაზეთში, როგორ გაბედავდა ტყუილი ეთქვაო, მით უფრო რომ თავის ნათქვამის დასამტკიცებლად ასახელებს კიდეც იმ ტაეპს, რომელიც ახალს გამოცემაში გამოტოვებული ყოფილაო. ესეც ტყუილია, ბატონებო. შიო დავითიშვილისგან მოხსენებული ტაეპი: „მოვიდიან შესამკობლად ქვეყნით ყოვლნი სულიერნი“ და სხვ. თავის დღეში არ ყოფილა ქართველიშვილის გამოცემაში და მაშასადამე მე არც შემთხვევა მექნებოდა მის გაძევებისა. ეს ყოვლად შეუწყნარებელი და უგუნურად დაწერილი ტაეპი განდევნეს სხვებმა და არა მე ამ ოცის წლის წინად, დიდის ხნით ადრე იმ ს—შვილზე, რომლის გავლენასაც რეცენზენტი მიაწერს მის განდევნას. აქ გაკვრით შევნიშნავ, რომ ბ-ნი შიო დავითიშვილი რამდენჯერმე იხსენიებს თავის რეცენზიაში ს—შვილს და იმდენჯერვე იჩენს მის შრომის უცოდინარობას. აი თუნდა მისგან მოხსენებულის ტაეპის შესახებ. ბ-ნი ს—შვილი პირდაპირ ამბობს, რომ ეს ტაეპი ყალბად იცნო ქართველიშვილის გამოცემის რედაქციამაო, და ამიტომ თითონ არც-კი ირჯება მის სიყალბის დასამტკიცებლად. ბ-ნს შიო დავითიშვილს, რომ ხსომებოდა ს—შვილის აზრი, აღარ დამაბრალებდა ვითომ ხსენებულს ტაეპზე მე ჯვარი დამესვას კალმის ერთის მოსმითა.

ამ ნაირად პირველი მაგალითი შიო დავითიშვილისა იმის დასამტკიცებლად, რომ ახალს გამოცემაში ვითომ ჩვენ გამოგვეკლოს რამე ჩვენის დედნითგან, მოჭორებული გამოდგა. მაგრამ ჭორი რის ქორია, თუ თანდათან უფრო და უფრო არ გაიზრდება და ფრთებს არ შეისხავს. ეგრე დაემართა შ. დავითიშვილსაც. თავის პირველმა ყალბმა აღმოჩენამ აფიქრებინა მას, ვაი თუ კარიჭაშვილს სხვა ს—შვილის მიერ ყალბად ცნობილი ადგილები გაედევნოსო და დაუწყო წიგნს შლა აქა-იქა *). ამ შლის დროს დავითიშვილი ვითომ შემთხვევით წააწყდება კიდევ ერთს ადგილს, სადაც ვითომ ერთი ტაეპია გამოკლებული ავთანდილის პირველის მოგზაურობითგან: „თავსა უთხრა: მოჰკვდე, გიჯობს სიცოცხლეს აუგიანსა“ და სხ. რეცენზენტის გამოანგარიშებით, ეს ტაეპი უნდა ყოფილიყო დაბეჭდილი 189 და 190 ტაეპებს შუა. არც ახლა ბრძანდება მართალი შიო დავითიშვილი. ამ ტაეპის განდევნა მე აზრადაც არ მომსვლია, რადგან მე ის თვალითაც არ მინახავს, როდესაც ახალს გამოცემას ვბეჭდავდით. მაგ ტაეპსაც ანდერძი სხვებმა აუგეს ოცის წლის წინად და ადგილი არ მისცეს ქართველიშვილის გამოცემაში. თუ არა გჯერათ, ნახეთ ეს გამოცემა, გვ. 42, სადაც 189 და 190

---

*) ამ წერილში ხაზი ყველგან ჩვენი გასმულია. დ. ქ.

*) ნეტა ვიცოდეთ, რომელს წიგნს დაუწყო შლა შიო დავითიშვილმა! ჯერ-ჯერობით ცხადათა ჩანს, რომ ქართველიშვილის გამოცემა მას თვალითაც არ უნახავს, ისე როგორც თავის ორი ყური, ხოლო შემდეგში ვნახავთ, რომ მას არც ვახტანგის გამოცემა უნახავს და არც ჩუბინაშვილისა. დ. ქ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იჯარადარს ქალაქის გამგეობაში განცხადება შეუტანია, თუ დროზედ ვერ ჩავაბარეთ შენობა, ჩემი ბრალი არ იქნება. იჯარადარის ამისთანა საქციელს ზოგიერთი ხრიკებსა და «კლიაუზებს» უწოდებს, მაგრამ აქ გასაკვირველი არა არის-რა. გასაკვირველი ის არის, რომ იგი ზარალის აღდგენას არა გვთხოვს.

ამნაირ მდგომარეობაშია ქალაქის აფთიაქის შენობის საქმე, და შეიძლება მომავალი წლის დამდეგსაც ვერ გადმოიტანონ ახალ ბინაზედ.

ქ. მ-ე.

P. S. როგორც გავიგეთ, ქალაქის საბჭოს მდივანი ბ-ნი ი. ჯაფარიძე გადადის გიმნაზიაში მასწავლებლად და ანებებს მდივნობას თავს. სამწუხარო არის, რომ ბ-ნმა ჯაფარიძემ ასე მალე უღალატა ქალაქის სამსახურს. ასე ცოტა ხნით არც უნდა ეკისრა თავზედ ქალაქის სამსახური.

ქ. მ—ე.

—

რიონ-გაღმის კუთხე. ათი დღე გადის, რაც ჩვენსკენ გაცხარებული რთველია; კაცი, ქალი, ბავშვები ყველა შესივნენ ვანებს, ჰკრეფენ სიმინდ-ლობიო-კვახებს, სჭრიან ჩალას და ეზიდებიან სახლში; დილიდგან დაწყებული საღამომდე და ხშირად მთელი ღამეც ურმების ჭრიალი შეუწყნარებელია.

ამინდები მეტად ცუდი დაუდგა ხალხს: კვირაში ერთად სამი დღე მზიანი არ არის, ვანებში მუხლებამდე წყალი დგას და საბრალო მუშა ხალხი დიდის გაჭირვებით აგროვებს თავისს ნათესარს. გზები ისე გაფუჭებულია, რომ ურმები ძლივსღა ამოჰყავთ ტალახიდგან. ერთის სიტყვით, ყოველის მხრით ხელის შეშლა აქვთ წელს ჭირნახულის შეკრების დროს.

ძველი სიმინდი წელს აქაც ყველგან პეპლად გამოვიდა, ამისთვის მეტად აჯობებდა, რომ სიმინდის ტეხა არ დაეწყებულიყო შუა ოკდომბრამდე მაინც, რადგან მაშინ ტარო საკმაოდ გახმებოდა ჩალაზედ და იქნება მომავალში კიდევ ჭია-პეპლად არ ქცეულიყო; მაგრამ ერთი მეორის მიუყოლებლობის გამო სოფელში ბევრი საქმე ფუჭდება: ზოგიერთმა სეკდემბერსაც აღარ აცალა გათავება და შეუდგა ვანის აღებას; მოსჭრა ჩალა თუ არა, აუშვა მაშინვე საბალახოთ ნაყანებში ჯოგი; რაღა ჯანი ჰქონდათ მისს მეზობლებს, იმათაც უნდა დაეწყოთ ძალა-უნებურად სიმინდისა და ჩალის აღება. სიმინდის მოსავალი წელს-კი აქეთ ნაკლებია, ღვინო-კი ბლომად მოვიდა, ზოგან კიდევ მეტს ელოდნენ, რომ გამუდმებულის წვიმებისა გამო ყურძენი არ დამპალიყო.

მახლობელი მთები ჩამოთოვა და ეხლა აქეთ საგრძნობლად აცივდა; დილა-საღამოს უცეცხლოდ მეტად ცივა სახლშიაც. შეშა-კი წელს მეტად გაძვირდა აქეთ: ამ ხუთის წლის წინად თუ 8—10 მანეთად იყიდებოდა საჟენი, ეხლა 15—16 მანეთად ფასობს; ამას ვინღა ჩივის, რომ იშოვებოდეს მაინც. ტყეს ძირზედ სჭრიან, აპობენ და ჰყიდიან; ამგვარად, ტყე თანდათან ისპობა და მგონი აწ ფიჩხის შოვნაც გაჭირდეს.

უამინდობა, უგზოობა, სიცივე ეყოფოდა ხალხს და ამასთან კიდევ შემდეგი უბედურება მოემატათ: დაღამდება თუ არა, საყანეებში გახდება მგლების ღმუილი და შიშით ხალხს წელი სწყდება; ფარეხებში დამწყვდეული საქონელი ბევრი შეჭამეს მგლებმა. 8 საათიდგან დაწყებული შუადამემდე მგლების ღმუილი, ძაღლების ყეფა, ხალხის კივილი, სტვენა, თოფის ხმა —ერთ ალიაქოთს წარმოადგენს. ვანისა და ტობანიერის საზოგადოებას შუა, საყანეებში, მდინარე რიონის მარცხენა ნაპირას, არის სქელი ოხმელნარი ტყე, სახელდობრ «მუდრუნა», სადაც შეჰხვევია აუარებელი მგლები და ახლო-მახლო მცხოვრებლებს მოსვენებას არ აძლევენ. ვანის საზოგადოების მამასახლისმა გამოუცხადა ხალხს, რომ კვირას, 19 ოკდომბერს, შეიარაღდნენ თოფებით და შემოუსიონ გარემემო ამ ტყეს. არ იქნება ურიგო, რომ ტობანიერის მამასახლისიც ასე მოიქცეოდეს.

ტობანიერის საზოგადოებაში აფთიაქი უკვე გაიმართა; დაათვალიერა გუბერნიის ექიმის თანაშემწემ ბ-ნმა გარნოვსკიმ და გამოაცხადა აფთიაქი კანონიერ დაარსებულად; ფერშალიც გაჩნდა ჭიათურიდგან —ბ-ნი ბარელაძე—და გვპირდება დარჩეს ამ საზოგადოებაში.

ყელის ტკივილმა აქეთ სოფლებში იკლო. ეხლა აქა-იქ იჩინა თავი ყვავილმა; საჭიროა მაზრის ფერშალი გამოგზავნილ იქმნას ტობანიერის საზოგადოებაში.

სამტრედიაში მიმავალი გზა რიონის პირად მთლად წაიღო მდინარემ, რომელმაც საყანეებსაც მიჰყო ხელი. ამას წინად ბ-ნმა მაზრის უფროსმა და ბოქაულმა განიზრახეს ამ გზის მიმართულების შეცვლა, რომელიც უნდა გაეყვანათ მუხაურის საზოგადოებაზედ და შემდეგ სამტრედიაში. სასურველია, რომ ეს განზრახვა განხორციელდეს, თორემ მეტი საშუალება აღარაფერი დაგვრჩენია.

ვლადო ბზვანელი.

რუსეთი

სამხედრო სამინისტრომ შეიმუშავა პროექტი საფაბრიკო ინსპექტორობის მოწყობისა სამხედრო უწყების ფაბრიკებსა და ქარხნებში შემოსაღებად.

— ცნობილი პეტერბურგელი მქადაგებელი მღვდ. პეტროვი, თანახმად თვისის სურვილისა, დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან და სამღვთო წერილის მასწავლებლობისაგან მიხეილის საარტილერიო აკადემიასა და სასწავლებელში.

— ვორონეჟის გუბერნიის, ბობროვის სამაზრო საერობო კრებამ გადასწყვიტა — მოახერხოს, რომ ბატონ-ყმობის გადავარდნის 50 წლის იუბილეისთვის განახორციელოს პროექტი საყოველთაო სწავლების შემოღებისა.

— კიევი სჩივის, რომ სასწავლებლები ცოტა გვაქვს და ყოველ წლივ მრავალს ეუბნებიან უარს და არ იღებენ არა თუ შუათანა სასწავლებელში, არამედ პირველ დასაწყისს საქალებო სასწავლებლებშიაც-კი.

— მოსკოვში ხალხისათვის იქმნება გამართული ამ ზამთარს ლექციები ანატომიის შესახებ ოთხი, ქიმიისა—სამი, კანონდებულებისა—ათი. ამას გარდა წაკითხულ იქმნება ლექციები „ჰიგიენა ბავშვებისა“, „აგებულება ადამიანის ხორცისა, უხილავის, შეუიარაღებელის თვალით“, „მნიშვნელობა შეუიარაღებელ თვალით უხილავ არსებათა ბუნებისა და კაცთა ცხოვრებაში“, სამი ლექცია კიდევ ამ თემაზედ: „შეერთებული შტატები ჩრდილო-ამერიკისა“.

უცხოეთი

იტალია. გაზ. „ტაიმს“-ის კორესპონდენტს რომიდგან ატყობინებენ, — თუ მართლა ჯიოლიტტიმ იკისრა კაბინეთის შედგენა, წინანდელ სამინისტროს პროგრამას დაადგება, შეიძლება მცირე რამ ცვლილება მოახდინოს. ჯიოლიტტის განზრახვა აქვს უმთავრესად ეკონომიურ პრობლემებს მიაქციოს ყურადღება, რადგან, მისის აზრით, ეს უფრო დიდმნიშვნელოვანი საქმეა, ვიდრე ცოლ-ქმართა გაყრის საკითხი და იურიდიული რეფორმები.

ოკდომბრის 11-ს ჯიოლიტტის მოლაპარაკება ჰქონდა დეპუტატ სავასა, ლაკავასა, აპრილესა და სხვ. როდესაც ცანარდელი ადგენდა თავისს კაბინეთს, მეფემ პირობა დაუდო, სამხედრო და ზღვათა მინისტრების დანიშვნის უფლება მე უნდა მქონდესო. ამბობენ, აგეთივე პირობა ჩამოართვა გარეშე საქმეთა მინისტრის შესახებაო. როგორ მოიქცევა ახლა, ჯიოლიტტის მინისტრ-პრეზიდენტად დანიშვნის დროს, მეფე, ჯერ არავინ უწყის. თუ მეფე ახლაც თავათ დაჰნიშნავს გარეშე საქმეთა მინისტრს, დიდად გაუადვილებს ჯიოლიტტის საქმესა. რადგან ამ ჟამად მეტად ძნელია არჩევანი გარეშე საქმეთა მინისტრისა.

იაპონია. სეულიდგან ატყობინებენ გაზ. „ტაიმს“-ს,—ინგლისისა და იაპონიის ელჩნი დაჟინებით თხოულობენ, რომ კორეიის თავრობამ უეჭველად ყველა უცხო სახელმწიფოებს გაუღოს იოჰამპოს ნავთ-სადგურის კარიო. კორესპონდენტი ამბობს,—თუ კორეია დაჰყაბულდა ამ მოთხოვნილებას, ადვილად დააღწევს თავს იმ გაჭირვებას, რომელშიაც იგი ჩავარდა მხოლოდ იმის გამო, რომ მარტო რუსეთს მისცა კონცესია და სხვა სახელმწიფოებს-კი გზა შეუკრაო. კორეიის გარეშე საქმეთა მინისტრი მზადაა დააკმაყოფილოს ინგლისისა და იაპონიის სურვილი. მისის აზრით, უთუოდ საჭიროა, რომ ნავთ სადგურის კარები ყველას აეღოს. საქმეს მხოლოდ ის აბრკოლებს, რომ კორეიის იმპერატორმა ჩაიკეტა კარები და არავის რჩევას არ ისმენს. რასაკვირველია, ამგვარ უთანხმოებას კარგი შედეგი არ მოჰყვება. ამ უკანასკნელ წლის განმავლობაში რამდენიმე გარეშე საქმეთა მინისტრი გამოიცვალა.

ახლანდელი მინისტრი დიდად განათლებული კაცია, ზედმიწევნით მცოდნე ინგლისურ და იაპონიურ ენებისა. წინად იგი ტოკიოს კარზე იყო ელჩად. იმპერატორი არც ამ კაცის რჩევას მისდევს თუმცა რუსეთი და იაპონია არწმუნებენ კორეიის იმპერატორს, მხოლოდ მეგობრობა გვწადიან შენთან და გვსურს მშვიდობიანობა დავამყაროთო,—იგი მაინც მუდამ შიშსა და ძრწოლაშია. ეს შიში უფრო გაუორკეცდა მას შემდეგ, რაც იაპონიის ესკადრა მოზამპოს ნავთ-სადგურს ესტუმრაო.

— გაზეთ „შორეულ აღმოსავლეთი“-ს სიტყვით,—სხვათა მოძულეობა იაპონიაში თანდათან ვრცელდება: იაპონიის გაზეთობა სავსეა ახალ-ახალ ამბებით, თუ როგორ იკრიბება ხალხის ბრბონი და თხოულობს რუსეთთან ომის გამოცხადებას. ამ ბრბოებს ჰმეთაურობენ სხვა-და-სხვა პოლიტიკური წრეები და ზოგ-ზოგი ფრიად გავლენიანი მოღვაწენიც.

ომი ყველაზედ მეტად კუნძულ კიუსიუს მცხოვრებთ სწყურიანთ. ხალხი გატაცებით ისმენს აქა-იქა მოსიარულე აგიტატორების ამაღელვებელ სიტყვებს და დარწმუნებულია, რომ რუსეთთან ომი აუცილებელია.

რუსეთისა და იაპონიის უთანხმოებას ალექსეევს აბრალებენ. იაპონიის გაზეთების სიტყვით, რუსეთმა რომ იაპონიასთან მორიგებამდე ჩინეთს ახალი მოთხოვნილებანი წარუდგინა. ეს იმასა ჰნიშნავს, რომ მას არ უნდა იაპონიასთან მოლაპარაკების გაგრძელებაო. პეტერბურგის კარზე მყოფი იაპონიის დესპანი შეეკითხა ამ საქმის შესახებ რუსეთის მთავრობას და პასუხად მიიღო, —ნამესტნიკ ალექსეევს დიდი უფლებანი აქვს მინიჭებული და პეტერბურგის დაუკითხავად ალძრა მანჯურიის შესახებ ლაპარაკი ჩინეთის მთავრობასთანაო. პეტერბურგში-კი იაპონიასთან მოლაპარაკების გაგრძელება ჰსურთო.

იაპონელ მეზღვაურთა მაღალი წრეები მეტად მოწადინებულნი არიან თურმე ომსა: ადმირალი ინუე და ვიცე-ადმირალები ჰიტაკა და შიბაიამა მოძულეთა დასს მეთაურობენ. მათ უგუნურებად მიაჩნიათ ომის მოწინააღმდეგეთა აზრი,—თუ ომი ასტყდა, მანჯურიაში იაპონიის ჯარი სულ გაიჟლიტებაო,—და თამამად გაიძახიან,—რა წამს რუსეთის ესკადრას დიდ ოკეანეზედ დავამარცხებთ, პორტ-არტურისა, დალნისა და ვლადივოსტოკის დაჭერა სულ ადვილად შეგვეძლება და რუსეთის სამფლობელო აზიაში ყველასათვის კარი ღია იქნებაო. ფინანსთა მინისტრი ვიკონტი კანატაბე ჯერ ომის წინააღმდეგი იყო, ეხლა-კი ერთი თავგამოდებული ომის მომხრეთაგანია

პეტერბურგს მყოფმა ჩინეთის დესპანმა აცნობა თავისს მთავრობას,—საეჭვოა, რომ რუსეთი და იაპონია მორიგდნენო.

გაზ. „კობ. ხრონ.“-ის სიტყვით, წინად ჩინეთს იმედი არა ჰქონდა, რომ იაპონია რუსეთს მედგარ წინააღმდეგობას გაუწევდა; ახლა-კი რწმუნდება, რომ იაპონია არაფერს არ დაჰზოგავს რუსეთის მოთხოვნილებათა გასაუქმებლადაო.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი.

კვირას, 19 ოკდომბერს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქმნა ბ—ლისაგან გადმოკეთებული ისტორიული დრამა „მურად-ფაშა“ და გიორგი ერისთავის კომედია „თილისმით მოარშიყე“. ამ საღამოს გამართულმა წარმოდგენამ საერთოდ კარგად ჩაიარა, იმიტომ, რომ პიესებიც კარგი იყო არჩეული და არტისტებიც მწყობრად, თანხმობით თამაშობდნენ.

კვირას დადგმული პიესა „მურად-ფაშა“ ისტორიული დრამაა, თუმცა ისტორიული იქ მარტო ამბავია, ჩარჩოა მხოლოდ ისტორიული და ამ ჩარჩოში ჩასმულია ის დედა აზრი, რომელზედაც აშენებულია მეტერლინკის დრამა „მონა-ვანნა“; დაპირდაპირება ადამიანის კერძო ინტერესებისა და საზოგადო საქმის საჭიროებისა, აქედგან წარმომდგარი სულიერი ბრძოლა კაცისა, რომელიც ან საზოგადო საქმის მოთხოვნილებას უნდა დაუმორჩილოს ან იგი თავისს კერძო ბედნიერებას ანაცვალოს,—კარგი თემაა დრამისათვის და „მურად-ფაშაც“, თუმცა გადმომკეთებელს I მოქმედება თავისი მიუმატებია და ცოტა არ იყოს ამითი გაუზვიადებია დრამის მსვლელობა,—საინტერესო პიესაა და მისი დადგმა ყოველთვის სასურველია. ვერ ვიტყვით, რომ უნაკლულოდ ყოფილიყოს ნათამაშევი დრამა, მაგრამ მწყობრად თამაშობა მსახიობთა საერთო, კარგს შთაბეჭდილებას ახდენდა. უნაკლულო იყო ქეთევანის როლში ქ-ნი ნ. ჩხეიძე. სულის კვეთება ქეთევანისა, ორგვარ გრძნობით გამოწვეული, სავსებით იხატებოდა მსახიობის სახეზედ და მისი ყოველი სიტყვა სინამდვილით ჰხატავდა ქეთევანის სულიერ მოძრაობას.

ბ-ნ გუნიას მურად-ფაშის როლში არა უჭირდა-რა იმდენად, რამდენადაც მსახიობს ძლიერი გრძნობის გამოხატვა ეხერხება. კარგი იყო კ. შათირიშვილი თავდადებულ დაუდის როლში.

ახმედ-ფაშის როლის აღმასრულებელს შალიკაშვილს ეტყობა სკოლა და სცენიური ნიჭი, მხოლოდ გაუბედაობა ეტყობოდა ამ საღამოს მისს თამაშს.

კარგი იყო ივანიძე ბერის გივის როლში. დანარჩენთაც არა უჭირდათ-რა.

დრამის შემდეგ წარმოადგინეს გ. ერისთავის კომედია „თილისმით მოარშიყე“. ხალხი ბლომად დაესწრო წარმოდგენას.

—

სახალხო თეატრი. შაბათს, 18 ოკდომბერს, ავჭალის სცენის მოყვარულთა მიერ წარმოდგენილ იქმნა გულისაშვილის 5 მოქმედებიანი პიესა „დრონი მეფობენ“. წარმოდგენამ მწყობრად ვერ ჩაიარა. რადგან სცენის მოყვარეებს მომზადება აკლდათ, განსაკუთრებით ახლებს, რომლებიც, ზედვე ეტყობოდათ, პირველად გამოდიოდნენ სცენაზედ. რეჟისორად, კოტე მესხის მაგიერ, გ. ანანიაშვილი იყო პროგრამაში გამოცხადებული; გაზეთები-კი სწერდნენ წინად, რომ ბ-ნი კ. მესხი მოიწვიეს რეჟისორად ავჭალის სახალხო თეატრშიო.

თვით პიესა-კი ღმერთმა შეინახოს!.. ყველაფრით მეტად სუსტია და სულაც რომ არ წარმოედგინათ პიესა, უკეთესი იქნებოდა, მით უმეტეს სახალხო თეატრში, რადგან იქ სულ მდაბიო ხალხი ესწ

ტაეპები ერთი მეორეს მისდევენ და შუაში არ უზით შიო დავითიშვილისაგან გამოძებნილი მახინჯი ტაეპი.

ამ ტაეპთან ახლო შიო დავითიშვილს მოუძებნია კიდევ ერთი დაჩაგრული ტაეპი და მის განდევნასაც მე მაბრალებს, ამ შემთხვევაშიაც ალალ-მართალს ადამიანს. ეს ტაეპიც, რომელიც, რეცენზენტის ანგარიშით, უნდა ყოფილიყო 190 და 191 ტაეპებს შუა, გადევნა ვეფხის-ტყაოსნის ტექსტიდგან ისევ იმავე კომისიამ, რომელმაც წინად დასახელებული დაიწუნა და ყალბად სცნო.

ამნაირად ჩვენ დავინახეთ, რა ნაირად გადადგა შ. დავითიშვილმა სამი ნაბიჯი. ამ სამის ნაბიჯის შემდეგ უფრო ადვილდება სხვა ნაბიჯების გადადგმა და ზედი-ზედ გვისახელებს კიდევ ხუთს ვითომ ჩვენგან უსამართლოდ და ჩვენის ნებით (შიოს დაუკითხავად) გადევნილს ტაეპს. რომ არ გავაგრძელოთ წერილი ტაეპების პირველის სტრიქონების მოყვანით, ვთხოვთ მკითხველს, გაისარჯოს და გადაათვალიეროს კიდევ „ივერიის“ № 220-ში შიო დავითიშვილის ფელეტონი და შეამოწმოს, მართლა ჩაგვიდენია ის დანაშაული, რომელსაც გვაბრალებს რეცენზენტი, ვითომ ტაეპები გამოგვეტოვებინოს ახალის გამოცემის შემდეგს ტაეპებს შუა: 218 და 219, 248 და 249, 253 და 254, 312 და 313, 1278 და 1279. რომ [illegible] მკითხველს შემოწმება, მე აქვე ვუჩვენებ ქართველიშვილის გამოცემის იმ გვერდებს, სადაც იგი იპოვის აქ დასახელებულის ტაეპების ადგილებსა ეს გვერდებია: 47—48, 53—54, 54—55, 67—68 და 291. თუ მკითხველმა შეისმინა ჩვენი ვედრება და შეამოწმა შ. დავითიშვილის ბრალდების საფუძვლიანობა, იგი დარწმუნდება, რომ არც ეს უკანასკნელი ხუთი ტაეპი გაგვიდევნია ჩვენ, რადგან არც შეგვხვედრია იმ დედანში, საიდგანაც ჩვენ გადმოვბეჭდეთ ახალი გამოცემა.

რაკი ამნაირად ტყუილის საბუთებით დაამტკიცა შიო დავითიშვილმა ჩვენი საშინელი დანაშაული, მიმართა მკითხველებს შემდეგის საუბრით: „სხვა ტაეპების ძებნა შორს წაგვიყვანს (თუ უკვე წაბძანებული არ ბძანდებით), ესეც საკმარისია იმის დასასაბუთებლად, რომ ბ-ნს კარიჭაშვილს მხოლოდ თავის მოსაზრებით, ნებითა და სურვილით რამდენიმე ტაეპი გაუძევებია. ამ ჟამად არ შევეხებით ამ ტაეპების ღირსებას, იქნება მართლა გასადევნიც იყოს, ხოლო გვიკვირის, როგორ გაბედა შეგნებულმა კაცმა მოსპობა ისეთის ნაწერებისა, რომელიც იმას საეჭვოდ მიაჩნია და კი არ არის რიგიანად გარჩეული და უარ-ყოფილი საზოგადოდ კრიტიკის მიერ. ნუ თუ ეს დიდი ცოდო არ არის ქართულის მწერლობის და ერის წინაშე?“

ამ საუბარში რომ ყველაფერი ტყუილი და შემცდარია, მგონია, მკითხველი უკომენტარიოდაც მიხვდება. ჩვენ მაინც ვიტყვით ორიოდე სიტყვას. ზევით ცხადად დავამტკიცეთ, რომ ჩვენ მხოლოდ ჩვენის მოსაზრებით, ნებით და სურვილით არც ერთი ტაეპი არ გაგვიძევებია, მაშასადამე ამისი თქმა ჩვენ შესახებ შიო დავითიშვილის მხრით არის უცნაური სიცრუე. შიო დავითიშვილისგან მოხსენებული ტაეპები სცნო ყალბებად ამ ოცის წლის წინად შემდგარმა კომისიამ, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდნენ მაშინდელი ჩვენი წარჩინებული ლიტერატორები და ენის მცოდნეები. მათ შორის იყვნენ გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ დადიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ივანე მაჩაბელი, პეტრე უმიკაშვილი, იონა მეუნარგია და ბევრნი სხვანი. ამ კომისიამ შეადარა ერთმანეთს ყველა ცნობილი ხელთნაწერი და დაბეჭდილი ვარიანტები და შეიმუშავა ის რედაქცია, რომელიც შეიქნა დედნად გ. ქართველიშვილის გამოცემისა. ამნაირად, თუ შიო დავითიშვილის აზრით ვინმეა დამნაშავე ქართულის მწერლობისა და ერის წინაშე, ეს იქნება ის დიდი კომისია და არა მე ერთი კაცი, რომელსაც ამ კომისიასთან არაფერი კავშირი მქონია რა. მეორეც ესა, ეს სხვის ნაცოდვილარი (დავითაშვილის ფიქრით) მე ჩემის ნებით-კი არ დავბეჭდე, არამედ მთელის საზოგადოების გამგეობის მონდომებით და სურვილით. მაშასადამე რომ ძალიანაც მორიდება მქონოდა შიო დავითიშვილის რისხვისა, არ შემეძლო გამეცოცხლებინა ანდერძ-აგებული ტაეპები, იმიტომ რომ ასეთი იყო ნება და სურვილი გამომცემლისა.

საგულისხმოდ რეცენზენტისა ერთს წვრილმანსაც შევატყობინებ მას. იმის სურვილს არამც თუ ხსენებული კომისია ეურჩა ამ ოცის წლის წინად, არამედ არ მოერიდა მას ამ ორასის წლის წინად თვით ვახტანგ მეფე და თავის პირველის გამოცემიდგან თავის ნებით და სურვილით (შიო დავითიშვილის დაუკითხავად) გამოტოვა ის ტაეპი, რომელიც შიო დავითიშვილს 312 და 313 ტაეპებს შუა ეგულება (იხ. ვახტანგ მეფის გამოცემული „ვეფხის-ტყაოსანი“, გვერდი 57). ცოცხალი ყოფილიყო, მაშინ შიო დავითიშვილი, თქვენ ნახავდით, რა დღეს დააყენებდა საწყალს ვახტანგს!

ხუმრობა იქით იყვეს და შიო დავითიშვილს ზემოდ მოყვანილს ამონაწერში ერთი შეუწყნარებელი საზოგადო აზრი აქვს გამოთქმული. იმას ჰგონია, ვითომ ყალბად მიჩნეულის (თუნდაც შეცდომით) ადგილის გამოტოვება ნიშნავდეს ნაწერის მოსპობას. ეს მართალი არ არის. ნაწერის მოსპობა იმას ჰქვიან, რო დასწვენ, დახევენ ან შავს საღებავს წაუსმენ. გამოცემიდან რომლისამე ადგილის გამოტოვებას მოსპობა არ დაერქმება. მე დღეს ვცან ყალბად რომელიმე ტაეპი და გამოვტოვე ჩემ გამოცემაში, ამით ის სრულებითაც არ ისპობა. მეორეს, რომელიც იმ ტაეპს ნამდვილადა სცნობს, შეუძლიან აიღოს და გამოსცეს. ვინ არის დამშლელი? როგორც თანამედროვეებს, ისე ჩამომავლობას ყოველთვის შეუძლიან გაიცნოს გამოტოვებული ადგილები და, თუ საჭიროდ სცნობს, ხელმეორედ დაბეჭდოს. იმისთანა სალიტერატურო კანონს ვერავინ დასდებს, რომ რაც ერთს ხელთნაწერშია, უთუოდ ხელუხლებლად უნდა გამოსცეთ ხოლმეო. მე რომ საკუთარის ხარჯით მომიხდეს „ვეფხის ტყაოსნის“ დაბეჭდვა, ვერ დამაბრკოლებს დავითიშვილისაგან მოგონილი ცოდო ქართულის მწერლობის და ერის წინაშე და გამოვტოვებ ყველა იმ ადგილებს, რომლებსაც ყალბებად მივიჩნევ. აგრეთვე მოიქცევა ბ-ნი ს—შვილიც, რომლის შესახებ დავითიშვილი ბრძანებს, რომ ისიც ვერ გაბედავს თავისგან ყალბად ცნობილი ადგილები გამოტოვოს ახალის გამოცემითგანაო. ტყუილად ჰგონია ასე ბ-ნს დავითიშვილს, აბა დაეკითხოს თითონ ს—შვილს, თუ ჩემი არ სჯერა.

დ. კარიჭაშვილი.

(დასასრული იქნება)

რება წარმოდგენებს და ასეთი უხეირო შინაარსის პიესა-კი მეტად ცუდად იმოქმედებს მათზე.

წარმოდგენა დაიწყო ცხრის 20 წუთზე და $12^1/_2$ საათზე გათავდა, რაც არ შეიძლება არ ვუსაყვედუროთ თეატრის გამგეებს.

ხალხი, ჩვეულებრივ, ბლომად დაესწრო, ასე რომ მეტს ადაც დაიტევდა შენობა თეატრისა.

ს. ვ—ია.

ავლაბრის ახალი თეატრი. შაბათს, 18 ოკდომბერს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქმნა არაქსიანის თეატრში დ. ერისთავის ისტორიული დრამა „სამშობლო“. მკითხველ საზოგადოების უმთავრესს ყურადღებას მივაქცევთ ქ-ნ მდივანზე, რომელიც ამ საღამოს ქეთევანის როლს თამაშობდა. ქ-ნს მდივანს ბევრი უშრომნია, ბევრი უმეცადინია, რასაც კარგი შედეგი მოჰყვა; რა იყო ქ-ნი მდივანი ამ სამის წლის წინად, როდესაც პირველად გამოვიდა ჩვენს სცენაზე? მაშინ ჯერ კიდევ გამოუცდელი იყო, ახლა-კი უკვე დახელოვნებული მსახიობი ქალია; რასაკვირველია, ქ-ნ ეფ. მესხის ასულსა და ქ-ნ ნ. ჩხეიძის ასულს ვერ შევადარებთ, მაგრამ მაინც კარგი იყო; ჩვენ არა ერთხელ გვინახავს ქ-ნი კარგარეთელი ქეთევანის როლში, მაგრამ მ. მდივანი გაცილებითა სჯობდა ქ-ნს კარგარეთელს. ქ-ნი მდივანი ჩვენის სცენისათვის სწორედ რომ შეძენაა. ასე კარგია, ვინც იშრომებს, ვინც ეცდება, ვინც არ ითაკილებს რეჟისორისა და საზოგადოდ უფრო გამოცდილის მსახიობის შენიშვნასა და შეცდომის გასწორებას. ბ-ნი ვალ. გუნია ჩვეულებრივ კარგი შაჰ-აბასი იყო.

ბ-ნი სვიმონიძე ლეონიძის როლს თამაშობდა; თუმცა როლი ზეპირად იცოდა, მაგრამ მაინც ადგილ-ადგილ მოისუსტებდა; დანარჩენები ხელს უწყობდნენ საერთო ანსამბლს.

წარმოდგენას საზოგადოება საკმაოდ დაესწრო; აქ პირველი მაგალითია ესა; წინად თითქმის სულ მუდამ ცარიელი იყო ხოლმე თეატრი.

დ. ჯ—ი.

სიფხიზ. საზოგ. ავლაბრის განყოფილება. შაბათს, 18 ოკდომბერს, აქაურმა სცენის მოყვარულებმა წარმოადგინეს კ. მესხის 4 მოქმედებიანი დრამა „ბაგრატ IV“ და ალ. ყაზბეგის ვოდევილი „დილა ქორწილის შემდეგ“. წარმოდგენამ მწყობრად ვერ ჩაიარა, რადგანაც როლი თითქმის არავინ არ იცოდა, გარდა ლ. მაღალაშვილისა და რ. სალაყაიასი. ბ-ნი ი. იმედაშვილი სასცენო ნიჭის პატრონი არ არის და ვურჩევთ, ტყუილად სცენას ნუ უშლის ხელს. თუ უნდა ხელი შეუწყოს სახალხო წარმოდგენების მართვას ავლაბარში, განა არ შეიძლება სხვაფრივ დაეხმაროს, მაგალითად, სცენარეუსობით, სუფლიორობით, ადმინისტრატორობით და სხვა. ქ-ნი დავითაშვილისა ძლიერ სუსტობდა თუ ეცდება, სახალხო სცენისათვის სასარგებლო იქნება ცოტათი, მხოლოდ ქართულში-კი კოჭლობს; აგრეთვე ბ-ნი მოსეშვილიც კოჭლობს ქართულში. ხალხი საკმაოდ დაესწრო, რაც მეტად სასიხარულოა. ბოლოს ითამაშეს ვოდევილი, მაგრამ სუსტად ჩაიარა.

მაინცა და მაინც მადლობის ღირსნი არიან, რომ საქმეს გულმოდგინედ ეკიდებიან და ხალხს ნელნელა აჩვევენ წარმოდგენებს.

ჯოჯოხეთელი.

მადლობის გამოცხადება.

ბრეთის ეკკლესიის განმაახლებელი კომიტეტი დიდ მადლობას უძღვნის თ. კონსტანტინე ამილახორს, რომელმაც შემოსწირა 5 მანეთი და კნ. ვარო ხიდირბეგიშვილისას და დარია გაბაშვილისას, რომლებისაგანაც არის მიღებული 20 მანეთი.

კომიტეტის წევრი-საქმის მწარმოებელი ივანე ავალიშვილი.

„ივერიის“ ფოსტა

ნ. გურულს. თქვენი ლექსი „გნახე ერთხელ!“ არ დაიბეჭდება.

ბ-ს. ქ. ჩ—ლს. ქართველს. სამწუხაროდ, თქვენი ლექსი „ქართველს“ არ დაიბეჭდება.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 ოკდომბერი

სიმფეროპოლი. დიდმა მთავარმა პეტრე ნიკოლოზის ძემ დაათვალიერა ხანის სასახლე, გუბერნატორის ტრეპოვის თანხლებით, და შემდეგ გაემგზავრა დიულბერს, თავისს მამულში.

კიევი. სამხრეთ-დასავლეთ რკინის გზებზე გასაგზავნი ხორბალი აღარ არის. წელს რკინის გზის განკარგულებაში 30 ორთქლმავალი მეტია, ვიდრე გასულ წელს.

ბირსკი. ყინვები დაიწყო.

ხოროლი. საერობო სკოლები სავსეა ბავშვებით: ზოგს მასწავლებელს 80—100 მოსწავლე ჰყავს. ხმოსნებისაგან და მცოდნე კაცთაგან შემდგარი კომისია განიხილავს საერობო საბჭოს მოხსენებას, სკოლებთან სასკოლო სამეურნეო კომისიის დაარსებისა, პირველ დაწყებით სკოლებში კურსის გავრთოვებისა, მასწავლებელთა სწავლა-განათლების მომატებისა, საბჭოსთან საჭირო ცნობების შესაკრებად განყოფილებისა და სახალხო განათლებაზე მზრუნველ კომისიის დაარსებისა, მასწავლებელთა კრებების გამართვისა და საერობო სკოლების ინსპექტორის თანამდებობის დაარსების შესახებ.

ლონდონი. საბერძნეთის მეფე ჩაირიცხა ბრიტანიის ფლოტის საპატიო ადმირალად.

ტანჟერი. მაროკკოს სულთანი 15 ოკდომბერს მივიდა ფეცში.

ბომბეი. აქ მოვიდა კრეისერი „პერსეი“ და ოთხიც სხვა კრეისერი, რომელიც თან ახლდება მეფეს სპარსეთში მოგზაურობის დროს. „პერსეი“-მ ბრძანება მიიღო,—დაუყოვნებლივ ობიუში გაემგზავროს.

სერბია. საერობო კრებამ მიიღო წინადადება გამგეობისა, დაარსოს ათი წლის განმავლობაში 5,000 მანეთიანი ხელუხლებელი ფონდი ხელმწიფე-განმთავისუფლებლის სახსოვრად. ამ ფულის სარგებლიდან შემწეობა მიეცემა ღარიბ გლეხებს ცხენების შესაძენად.

სუმი. 18 ოქტომბერს გრაფი ლამზდორფი დარმშტადტს წავიდა.

20 ოკდომბერი.

პეტერბურგი. 19 ოკდომბერს საბერძნეთის მეფე საზღვარ გარედ წავიდა.—19 ოკდომბერს საიმპერატორო აკადემიის სა ზოგადო კრებაზე მიუსაჯეს პუშკინის სახელობის პრემია პ. ი. ვეინბერგს და ბუნინს. საპატიო მოწონება შვიდს მწერალს გამოუცხადეს.

კოროჩა. 19 ოკდომბერს, საღამოს 8 საათზე, ჩრდილო აღმოსავლეთ მხრივ ცაზე შეამჩნიეს ორი ცეცხლისებრივი სვეტი, რომელიც შემდეგ შაერთდა. ეს არა ჩვეულებრივი მოვლენა 20 წამს გაგრძელდა.

დარმშტადტი. გრაფი ლამზდორფი მოვიდა.

პარიჟი. ტელეგრაფის მუშაობა საფრანგეთსა და დანარჩენ ევროპასთან და ამერიკასთან შუადღის შემდეგ უოველგან შესწყდა. ამისთანა მოვლენა არ მომხდარა მას შემდეგ, რაც კი ტელეგრაფი არსებობს; მზის ჩასვლისას მუშაობა ანაზდეულად განახლდა. ტელეგრაფის მართველობა ამ მოვლენას აწერს დედამიწის მაგნეტიზმსა.

ასხაბადი. ადგიკანში ძლიერი გრგვინვა და მიწის რყევა იყო.

პარიჟი. გაზეთები ამტკიცებენ, რომ 14 დეკემბერს ლუბე რომში წავა.— ლამზდორფი დარმშტატში წავიდა.

ვენა. იმპერატორმა ფრანც იოსებმა ტისასაგან შედგენილი ახალი უნგრეთის კაბინეტის სია მოიწონა.

სოფია. აჯანყებულთა წინამძღოლნი მტკიცედ ამბობენ, ჯუფთათა ბრძოლა ზამთარშიაც არ შესწყდება, უკეთუ რეფორმების განსახორციელებლად საჭირო ღონისძიებას არ მიიღებენო. ხვალ ბოლგარიაში 189 დეპუტატი უნდა აირჩიონ. ოპოზიციის კანდიდატების მოთხოვნილობით, მინისტრთა რჩევამ გადასწყვიტა გაგზავნოს სამხედრო რაზმები ყველგან, სადაც საჭიროება მოითხოვს.

ლონდონი. 18 ოკდომბერს ამერიკის რწმუნებულს ჩაბარდა მესამედი სამხედრო გარდასახადისა, რომელიც შეერთებულ შტატებს ეკუთვნოდა ჩინეთისაგან; წინად გადახდილით გასტუმრებულია 75% მთელის ვალისა. შეჰპირებიან დანარჩენ 25%-საც დეკემბერში გადავიხდითო. ინგლისს ჯერ მხოლოდ 50% აქვს მიღებული.

შარლოტტენბურგი. მომხსენი გარდაიცვალა.

სტამბოლი. სულთანმა ირადე გამოსცა, რომლითაც უნდა დათხოვნილ იქმნას 96 ბატალიონი მოუწვრთნელ ჯარისა მაკედონიაში.

რომი. ჩრდილო იტალიიდგან მოდის ამბები ავდრიანობისა. ნიაღვარმა, მოზვირთებულმა მდინარეებმა და ნაკადულებმა მინ ღვრები წაიღეს. სამხრეთ იტალიიდგანაც დიდწყლობის ამბები ისმის.

მინსკი. სამინისტროს ნებართვით სასულიერო რაბბინები შეიკრიბებიან გროდნოში გადასაწყვეტად მრავალ პრინციპიალურ საკითხებისა.

პეტერბურგის ბირჟა 4 ოკდომბერს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,70
ბერლინში 100 მარკაში	45,90
პარიჟში 100 ფრანკში	$37{,}32^1/_2$
ლონდონში ჩეკები	94,55
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	37,60
ბირჟის დისკონტი	5—$6^1/_2$%
4% სახელმწიფო რენტა	$99^1/_2$
4% სახ. სესხი 1902 წ.	$90^3/_4$
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ. მამულო ბანკისა	$95^1/_8$ მყიდ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	443 მყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	332 წვ. გაყიდ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა	$282^3/_4$ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^1/_2$% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა	—
$4^1/_2$% ტფილ. სადგ. მამ. ბანკისა გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა	$91^1/_4$ გაყ.
5% ქუთ. სა მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაიები ძმ. ნობელთა სანავთო მრეწვ.	9625 გაყ.
აქციები. ,, ,, ,,	472
,,კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	3850 გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა დაამხ.	$193^1/_2$ წვ. გაყ.
ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—

გამოსადეგი ცნობები.

დაწესდა დღე და ღამ მორიგეობა ბებია-ქალთა ქალაქის სამკურნალოში, რომელიც მუხრანის ქუჩაზეა და ღლვის საბებიო ინსტიტუტში.

უველამ, ვისაც დასჭირდება ბებია-ქალი ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა პირველ დახმარებისათვის, უნდა შეიტანოს ახლად დაარსებულ ბებია-ქალთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ ერთი მანეთი.

ტფილისის საზოგადო. წიგნთ-საცავი

(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

1 აპრილიდან 1 ოკდომბრამდე იღება 4 საათზე და იკეტება 6 საათზე შუადღის შემდეგ.

1 ოკდომბრიდან 1 აპრილამდე იღება 12 საათზე და იკეტება 5 საათზე შუადღის შემდეგ. წიგნთ-საცავში მრავალ რუსულ, ქართულ, სომხურსა და ევროპიულ წიგნებს გარდა, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობაც არის. მკითხველთათვის დიდი დარბაზია მოწყობილი. შესვლა უფასოა.

კვირა-უქმე დღეს წიგნთ-საცავი დაკეტილია; ზაფხულობითაც 15 აგვისტომდე დაკეტილია.

კავკასიის მუზეუმი

მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათს, პარასკევსა და კვირა დღეს, დილის 10 საათიდან 3 საათამდე. შესვლა ერთი აბაზა.

ეტლების სიარული ტფილისსა და თელავს შორის.

მამულოვის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზედ, თელავიდგან ტფილისს ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი დახურ ეტლში 4 მან., კოზლოზედ—3 მან. (კანტორა იმყოფება ავლაბარში, კახეთის მოედანზე).

ეტლების სიარული ტფილისსა და სიღნაღს შორის.

აბოევის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზე. სიღნაღიდგან ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი კაცზე ვადიან დილიჟანსკი—4 მან., უვადოში—3 მან.

პირუტყვთა სამკურნალო.

მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობაზედ დაარსებული პირუტყვთა მფარველი საზოგადოების საკუთარს სახლში, რიყის ქუჩაზე № 12, ტელეფონი № 536.

ავადმყოფ პირუტყვს სინჯავს ბეითალი კ. ა. ატრენოვი დილის 8 საათიდგან 10-მდე და საღამოს 5 საათიდგან 7-მდე. ამას გარდა სხვა ბეითლებიც რიგ რიგად იმყოფებიან სამკურნალოში: ბეითალი ნ. ბრიუკსი $1^1/_2$-დგან 2-მდე და ს. არტემოვიჩი—4-დგან 5-მდე. სამკურნალოში არის ბაგა ავადმყოფ პირუტყვთათვის, სადაც დაეტევა 12 სხვილი და 28 წვრილი საქონელი, ანუ ფრინველი. სამკურნალო იღებს წამლობისათვის და რჩევისათვის თითო სულზე 20 კაპ. სამკურნალოში ოპერაციებსაც უკეთებენ პირუტყვებს.

ნიხრი ეტლებით მიმოსვლისა

ქ. ტფილისში.

საათობით	60 კ.
ერთ გზობით	30
ქალაქიდგან ავლაბარში	40 „
ნავთლუღში	50 „
ავლაბრიდგან ნავთლუღს.	30 „
ნათლუღიდგან ქალაქს	40 „
ქალაქიდან და ავლაბრიდგან რკინის გზის სადგურამდე	50 „
იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება	80 „
ქალაქიდგან და ავლაბრიდგან მუშთაიდის ბაღში და დიდუბეს	40
იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება	1 მ.
ქალაქიდგან ორთაჭალას, საპყრობილემდე	80 კ. „
კრწანისის ბაღამდე	80 „
ნათლუღიდან რკინის გზის სადგურსა და მუშთაიდის ბაღამდე	80 „
რკინის გზის სადგურიდან ქალაქსა და ავლაბარს	60 კ.
იქიდამ ნათლუღამდე	1—20

იქ თუ რკინის გზის მატარებელმა დაიგვიანა, ყოველ ნახევარ საათში 30 კაპ. ემატება.

მართლმადიდებელთა სასაფლაომდე 50 კ.

ეს ნიხრი სავალდებულოა ღამის 1-ლი საათამდე; შემდეგ-კი 1 ოკდომბრიდგან 1 აპრილამდე ერთგზობით უნდა მიეცეს 50 კ. ხოლო 1 აპრილიდგან 1 ოკდომბრამდე 30 კ.

ნიხრი ხორცისა.

საქონლის ხორცი:

1 ხარისხისა გირვანქა	11 კ.
2 „	8 კ.
3 „	6 კ.
სუკი	15 კ.
ცხვრის ხორცი	10 კ.
კამეჩისა	7 კ.
ღორისა	
1 ხარისხის (საკატლეტე)	11 კ.
2 „ (ბარძაყი)	10 კ.
3 „ (დანარჩენი ნაწილი, ტყავებული)	8 კ.

ნიხრი პურისა.

თორნეში გამომცხვარი

1 ხარისხისა	5 კ.
2 „	$3^1/_2$კ
3 „	3 კ.

მიმოსვლა ეტლებისა კავკასიის გზით.

კარეტა ვადიანი გადის ტფილისიდგან კავკავს 7-სა და 8 საათზედ დილით, ღამე ჩერდება მლეთში და კავკავს მიდის საღამოს 7 საათზე

გარდასახადი:

1 კლასით	15 მან.
2 „	10 „
3 „	5 „

ლინეიკა გადის ტფილისიდგან ნაშუადღევის 3 საათზე, ღამე არსადა ჩერდება.

გარდასახადი:

1 ადგილისა	6 მ. 80 კ.
2 „	4 „ 80 „

განცხადებანი

ექიმი
ბესარიონ პაპოვი

სწამლობს განსაკუთრებით ყელ-ყურისა და ცხვირის ავადმყოფობას. მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე გარდა ორშაბათისა და შაბათისა საღამოს 5—7 საათზედ. სხვა დროს მიღება შესაძლოა წინადვე შეთანხმებით. კუკია, რეუტოვის ქუჩა № 26, ავჭალის ქუჩის კუთხეში.

(10—10)

მომღერალი

ფ. ქორიძე ასწავლის გალობა-სიმღერას და იტალიურ ენას. ქალი მისი **ვალენტინა**—ფორტეპიანოზე დაკვრას და ფრანგულ ენას. ერმოლოვის ქუჩა № 7. ნახვა შეიძლება დილის 10—1 ს. და საღ. 4—6 ს. (5—უ—5)

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროს კოპიული სამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები გჳრითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ლაბორატორია

რის გუტმანისა

მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის კარის ვაჭარი.

ВѢРНАЯ СМЕРТЬ.

ინდოური მიშუნაი

(ქიმიკოსის რის გუტმანისა)

ნამდვილი გაწყვეტა ვირთაგვებისა, თაგვებისა, თხუნელებისა და სხვათა მათ გვართა. ეს საშუალება განდევნის სახლებიდგან და სადგურებიდგან განსაკუთრებით ზემოხსენებულ პირუტყვებს, ამრიგად, რომ იატაკის ქვეშ არა რჩებიან და ცუდს სუნს არ აგრცელებენ იქიდგან. ფასი 60 კ.—1 მ. 50 კ.

ინდოურის ფხვნილი მწერთა მოსაგერიებლად ყველაზედ ნამდვილი საშუალება საბოლოვო გასაწყვეტად ყოველგვარ მწერთა და მათის თესლისა. ეს ფხვნილი შეუდარებელია რწყილის და ბაღლინჯოს გასაწყვეტად კრაოტებში, ლეიბებში, გალესილ კედლებში და აგრეთვე ფიცრის კედლებში, რომელსაც გაკრული აქვს ნაბდები და ნაქსოვი ჩრჩილისა სწყვეტავს ნავთალინისავით და ამასთან მასავით მძიმე სუნი არა აქვს. ამიტომ საჭირო არ არის ქურქისა და სხვა ტყავიან სამოსელების შესანახავად მიეცემა ზაფხულში. ეს ფხვნილი თავის მოქმედებას ყოველგვარი ჭია ღუს წინააღმდეგ თითქმის წუთის განმავლობაში იჩენს. ფასი 35 კაპ., 65 კაპ. 1 მ. 20 კ.

სითხე ბაღლინჯოს წინააღმდეგ (ქიმიკოსის რის გუტმანისა). სამუდამოთა სწყვეტავს. სასიამოვნო სუნისა არის და ამასთან არ აფუჭებს საცვლებს, შპალერს და ავეჯს. შეფრქვეული ოთახის ჰაერს სასიამოვნოდ აგრილებს და ამასთან ერთად განდევნის ჩრჩილს, ბუზებს და კოღოს. ფასი 60 კაპ.—1 მან.

ტოკაის ბალზამი (ქიმიკოსის გუტმანისა) განჰკურნავს ბებერას, მეჭეჭს და სხვა ამ გვარს, მოკლე დროს განმავლობაში. ძირიან-ფესვიანად სპობს და ამასთან არავითარ ტკივილს არ აგრძნობინებს ადამიანს. ფასი თითო კოლოფისა 60 კ.

უმთავრესი საწყობი ტფილისში, სასოფთიაქ. საქონ. ვაჭრ. ამხ.-ში და ყოველს სასოფთიაქო მაღაზიაში. (40—6.—40)

გამოვიდა და იყიდება ყველგან ახალი გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოებისა“ № 63.

შოთა რუსთაველის

ვეფხის ტყაოსანი

4 პორტრეტითა და 21 სურათით, დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებითა და ვრცელის ლექსიკონით.

XXX+361 გვ. ფასი სამი აბაზი.

50 ცალი დაბეჭდილია სქელ ქაღალდზედ და თითო ცალი ღირს ერთი მან.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

ქაჯანა

მოთხრობა ნ. ლომოურისა ფასი 5 კაპ.

2.

ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Общество распростр. грамотности.

Дозв. цензурою, Тифлисъ, 18 октября 1903 г. Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-григ. семинаріи დროებითი რედაქტორი ვ. ყიფშიძე, გამომცემელი ა. სარაჯიშვილი.